„ოცნების ქალაქის“ თემა

აჭარის მთავრობამ არ დაიშურა ძალისხმევა და ადამიანური რესურსები იმისათვის, რომ საფუძვლიანად შეესწავლა საკითხი. მოგეხსენებათ, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ **თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისია.**

კომისიამ თითოეული ოჯახის შესწავლისათვის შეიმუშავა სპეციალური ფორმის აქტი და აღრიცხა ე.წ. 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე დასახლებული თითოეული ოჯახი, რომლებმაც სულ შეადგინა **1397 ოჯახი/საცხოვრისი.**

აღრიცხული ოჯახები მათი თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დაიყო და შესაბამისი სიები გადაეგზავნათ შესასწავლად მუნიციპალიტეტის გამგეობებს, რომლებმაც ოჯახების მისამართებზე გასვლით შეისწავლეს მდგომარეობა.

კომისიამ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელა თვითნებურად დასახლებული **ოჯახების კატეგორიზაცია,** რომელმაც შეადგინა:

1. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები - 31;
   (ოჯახები, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ შესაბამისი სახელმწიფო დახმარებები).
2. სოციალურად დაუცველი (57001 სარეიტინგო ქულამდე) – 404;
3. მარტოხელა დედა - 0;
4. სხვა რეგიონებიდან თვითნებურად დასახლებული ოჯახები - 137;
5. ოჯახები, რომლებიც არ განეკუთვნება არცერთ კატეგორიას - 825.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად საქმე გვაქვს კანონდარღვევებთან. არის შემთხვევები „გასაყოფი“ ოჯახების, როცა პრეტენზია აქვთ რომ ცალკე ფართი ეკუთვნის ოჯახში ძმას, რძალ-დედამთილს და ა.შ

ვისი სოციალური პირობებიც და მდგომარეობაც აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც სახელმწიფო პროგრამები ითვალისწინებს, მათ მთავრობა ეხმარება. **I და II კატეგორიის ეკომიგრანტების მოთხოვნები ძირითადად დაკმაყოფილებულია.**

აქვე გვინდა ავღნიშნო, რომ ე.წ. ,,ოცნების ქალაქში“ მცხოვრები 3 ეკომიგრანტი ოჯახი უკვე დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართებით, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მკვიდრი იყო აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით ბინა ქ. ბათუმში თამარის დასახლებაში არსებულ სოციალურ სახლში გადაეცა. მეორე

ოჯახი, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტის მკვიდრი იყო სახლი გურიაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეუძინა, ხოლო მესამე ოჯახი რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრია, ქედის ე.წ. პოლიკლინიკის რეაბილიტირებულ შენობაში ბინის მიღებაზე უარი განაცხადა და ცხოვრებას ე.წ „ოცნების ქალაქში“ აგრძელებს.

რაც შეეხება ხელვაჩაურში, ე.წ 25-ე ბატალიონის ტერიტორიას, რომელიც დაკავებული აქვს 300-ზე მეტ ოჯახს, გაშენდება ქვესადგური, რომელიც რეგიონისათვის ელექტრომომარაგების მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს და მოემსახურება ათასობით ოჯახს.

უკანონოდ ჩასახლებულები ხელს უშლიან ათობით მილიონი ევროს პირდაპირი ინვესტიციის განხორციელებას რეგიონში, მაშინ როცა აღნიშნული პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და მოსახლეობაზე.

მათ ვისაც დახმარება ეკუთვნით, მთავრობა დაეხმარება. ე.წ. ეკომიგრამტებისთვის შენდება სოციალური სახლები რაიონებში იმისათვის რომ სოფლები არ დაიცალოს, **სწორედ სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისა და ეკონომიური მდგომაროების გაუმჯობესებისათვის იმუშავებს „მთის კანონი“, რომელიც ბევრ ასეთ მოქალაქეს დააბრუნებს თავიანთ მიწაზე და ხელს შეუწყობს მათ სოფლად დამაგრებას.**

სოციალურად დაუცველებს ეძლევათ კანონით გათვალისწინმებული სოციალური დახმარებები და შემწეობები, ასევე სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა პროგრამების, მათ შორის სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის მიმართულებით შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის საშუალება, რომ ხალხი დასაქმდეს და მათი ყოფითი პირობები გაუმჯობესდეს.

ჩვენი კომისიის რეკომენდაცია მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ე.წ „ოცნების ქალაქის“ მაცხოვრებლებისათვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ არაერთი შეხვედრა გამართა არასამთავრობო სექტორთან და საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება თვითნებურად შესახლებულთა გამოსახლებაზე.

მთავრობა ვერ დაუშვებს პრეცედენტს და არ დაუკანონებს თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო თუ კერძო კომპანიის ტერიტორიებს;

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი:

1. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სიები გადაეგზავნოს შესაბამის მუნიციპალიტეტებს და აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მათ მიმართ განხორციელდეს ეკომიგრანტებისათვის სახელმწიფოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებები;

2. <u>იმ თვითნებურად ჩასახლებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ ეკომიგრანტებს, მაგრამ არ გააჩნიათ თავშესაფარი, მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს ე.წ. ,,სამანევრო სახლით“ უზრუნველყოფის წესი. (ე.წ. ,,სამანევრო სახლში“ ბენეფიციართა განთავსების წესის პროექტი წინამდებარე დასკვნას თან ერთვის).</u>

3. <u>ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ე.წ. ,,სამანევრო სახლების“ მართვისა და მასში ბენეფიციართა განთავსების პროცესის მართვის მიზნით განახორციელოს შესაბამისი არაკომერციული იურიდიული პირის დაფუძნება (სასურველია აღნიშნული აიპი შეიქმნას აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში).</u>

4. ეკომიგრანტებისა და ე.წ. ,,სამანევრო სახლის“ ბენეფიციარების გარდა თვითნებურად ჩასახლებული პირების მიმართ, თვითნებურად დაკავებული ტერიტორიების განთავისუფლების მიზნით განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძებები.

5. წინამდებარე რეკომენდაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი პირებისათვის გაცნობის მიზნით განხორციელდეს შესაბამისი საინფორმაციო კომპანია.

ზოგადი დამატებითი ინფორმაცია

ეკომიგრანტის სტატუსის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ, ეკომიგრანტის კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური სტატუსი არ არსებობს, მით უფრო აღნიშნული სტატუსის მიმნიჭებელი უწყება, რომელიც იურიდიულად ანიჭებს აღნიშნულ სტატუსს. თუმცა არსებობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს N779 დადგენილება, რომელიც განმარტავს

ეკომიგრანტის ცნებას (სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი, რომელიც ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას). შესაბამისად, გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული ეკომიგრანტი ოჯახის დახმარების საკითხს წყვეტს უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებები. კერძოდ, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი, უპირველესად მიმართავს მუნიციპალიტეტს საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობის მიხედვით. თუკი შესაბამისი დასკვნით დადასტურებული იქნება, რომ სტიქიური საფრთხის გამო ოჯახი ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას აჭარის მთავრობაში შექმნილი სამთავრობო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე აჭარის არ მთავრობის თავმჯდომარე ღებულობს გადაწყვეტილებას ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების თაობაზე.

დამატებითი ინფორმაცია:

- 2013-2015 წლეებში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შედეგად დაზარალებული 202 ოჯახი, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება, კერძოდ აჭარაში 2016 წელს, დასრულდება 180 ბინიანი 3 სოციალური კორპუსის მშენებლობა, რომელიც ეკომიგრანტთათვის არის გათვალისწინებული (72 ბინიანი - ხულოს მუნიციპალიტეტში; 50 ბინიანი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში; 58 ბინიანი - ქ. ბათუმში).
- 2016 წლიდან ხორციელდება ,,ეკომიგრანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის" პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებულია დაახლოებით 115 საცხოვრებელი სახლების შესყიდვა. (სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში მოექცევა ოცნების სახლის ეკომიგრანტების კატეგორია).

ზემოჩამოთვლილი კომპლექსური ღონისძიებების საბოლოო მიზანია, სტიქიის შედეგად მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის ეფექტური აღმოფხვრა და ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში ინტეგრირება.